

სკოპინგის დასკვნა N22

დაგეგმილი საქმიანობის დასახელება: 10 ტონაზე მეტი სახიფათო ნარჩენის (ნარჩენი ზეთები) აღდგენის ან/და დროებითი დასაწყობების ობიექტის ექსპლუატაცია;

დაგეგმილი საქმიანობის განმახორციელებელი: შპს „იბერია ელექტროსერვისი“ (ს/კ: 216402060);

დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილი: ქ. რუსთავი, დავით გარეჯის ქუჩა N28;

განაცხადის შემოსვლის თარიღი: 28.07.2026;

მონაცემები სკოპინგის ანგარიშის შემდგენლის შესახებ: შპს „გარემოსდაცვითი მომსახურების კომპანია“;

ძირითადი საპროექტო მონაცემები:

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ გათვალისწინებული სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით, შპს „იბერია ელექტროსერვისის“ (შემდგომ - კომპანია) მიერ სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში (შემდგომ - სააგენტო) წარმოდგენილი იქნა დაგეგმილი საქმიანობის (ქ. რუსთავში, 10 ტონაზე მეტი სახიფათო ნარჩენის (ნარჩენი ზეთები) აღდგენის ან/და დროებითი დასაწყობების ობიექტის ექსპლუატაცია) სკოპინგის ანგარიში.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, სახიფათო ნარჩენის (ნარჩენი ზეთები) აღდგენის ან/და განთავსების საწარმოს ექსპლუატაცია დაგეგმილია ქ. რუსთავში, დავით გარეჯის ქუჩა N28-ში, შპს „ბიზნეს ენერგია“-ის საკუთრებაში არსებული 6102 მ² ფართობის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან (ს/კ: 02.07.04.086) 600 მ² ფართობის ტერიტორიაზე, რომელიც იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე შპს „იბერია ელექტროსერვისის“ სარგებლობაშია. ტერიტორიის GPS კოორდინატებია: X-502154 Y-4599410; X-502164 Y-4599396; X-502180 Y-4599429; X-502190 Y-4599415. სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიის საკადასტრო საზღვრიდან უახლოესი ზედაპირული წყლის ობიექტამდე (მდ. მტკვარი) პირდაპირი მანძილი შეადგენს 1400 მეტრს, უახლოეს დასახლებულ პუნქტამდე - 540 მეტრს, თუმცა საწარმოო შენობიდან დაახლოებით 70 მეტრში მდებარეობს მრავალბინიანი საცხოვრებელი შენობა (ს/კ: 02.07.04.798). ანგარიშის მიხედვით, საპროექტო ტერიტორია განთავსებულია სამრეწველო ზონაში, რომელიც უზრუნველყოფილია საინჟინრო ინფრასტრუქტურით, მისასვლელი გზებით და საწარმოო საქმიანობისთვის საჭირო კომუნიკაციებით.

ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფორმაციით, საპროექტო ტერიტორია „ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაციის-გენერალური გეგმისა და განაშენიანების გეგმის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს 2019 წლის 29 ნოემბრის N154 დადგენილების შესაბამისად მდებარეობს საწარმოო ზონაში (იზ-1).

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიის 500 მეტრიან რადიუსში განთავსებულია სხვადასხვა დანიშნულების ობიექტები, მათ შორის, შპს „ერთობა 98“-ის ცემენტის საწარმო, შპს „ჯეოსთილის“ მეტალურგიული საწარმო, რომლებზეც გაცემულია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებები, ასევე შპს „GEORGIAN BRIDGE CONSTRUCTION“, შპს „მემანიშვილი და კომპანია“, შპს „GEOTEC+“, შპს „გოუ-ფლეიგრაუნდს“, შპს „ჩიკო“, შპს „რუსთავი ტრეიდი“, შპს „ბარაკონი 96“, შპს „ჯეო-კაბადოკია“, შპს „ჯორჯიან პროგრესი“, შპს „კავკასპაკი“ და შპს „სანიტარი“, რომელთა ფუნქციური სტატუსების შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია სკოპინგის ანგარიშში. გარდა ამისა, ელექტრონული გადამოწმებით დგინდება, რომ საპროექტო ტერიტორიიდან 500 მეტრიან რადიუსში განთავსებულია შპს „ამქარი“, შპს „რუსენეროსერვისი“, შპს „რუსთავი ტრეიდი“, შპს „დუდუ-02“, შპს „მშენებელი თუჯი“, შპს „გზატკეცილი+“, შპს „იდეალ ჯორჯია“, შპს „ანტონი“, რომელთა ფუნქციური დანიშნულების შესახებ ინფორმაცია სკოპინგის ანგარიშში წარმოდგენილი არ არის.

მონაცემთა ელექტრონული გადამოწმებით დგინდება, რომ საპროექტო ტერიტორიიდან დაახლოებით 70 მეტრში მდებარეობს შპს „ეკო ოილის“ მეორადი ზეთის გადამამუშავებელი (ნარჩენების აღდგენა) საწარმო, რომელზეც 2019 წლის 16 აპრილს გაცემულია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება (ბრძანება N2-332) და ასევე, შპს „სანიტართან“ გაფორმებული იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე შპს „ალტერვეისტს“ დაგეგმილი აქვს 10 ტონაზე მეტი სახიფათო ნარჩენების (ნარჩენი ზეთები) დროებითი შენახვის ობიექტის მოწყობა და ექსპლუატაცია, რომელზეც სააგენტოს მიერ 2026 წლის 13 თებერვალს გაცემულია N3 სკოპინგის დასკვნა და გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება.

სსდ „გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის“ ინფორმაციით, დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ 2026 წლის 8 ივნისს განხორციელდა ქ. რუსთავში, დავით გარეჯის N28-ში მდებარე შპს „იბერია ელექტროსერვისის“ კუთვნილი საწარმოს ინსპექტირება, რომლის ფარგლებში სხვადასხვა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებთან ერთად გამოვლინდა, რომ კომპანია „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ გათვალისწინებულ საქმიანობას „ნარჩენების მართვის კოდექსით“ დადგენილი მოთხოვნებისა და გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გარეშე ახორციელებს, რის საფუძველზეც შპს „იბერია ელექტროსერვის“ მიმართ შედგენილი იქნა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის N103625 ოქმი.

სკოპინგის ანგარიშში წარმოდგენილია ინფორმაცია დაგეგმილი საქმიანობის ალტერნატიული ვარიანტების შესახებ. მათ შორის, განხილულია უმოქმედობის (ნულოვანი) და ტექნოლოგიური ალტერნატივები. სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, ვინაიდან საპროექტო ტერიტორია წარმოადგენს ფუნქციონირებად სამრეწველო ობიექტს, რომელიც

უზრუნველყოფილია საჭირო ინფრასტრუქტურითა და კომუნიკაციებით, ადგილმდებარეობის ალტერნატიული ვარიანტის განხილვა მიზანშეწონილად არ ჩაითვალა. საქმიანობის ტექნოლოგიური ალტერნატივებიდან, ტექნოლოგიური და გარემოსდაცვითი საკითხების გათვალისწინებით უპირატესობა მიენიჭა ზეთის ეტაპობრივ ვაკუუმურ-სადეგაზაციო დამუშავებასა და მრავალჯერადი გამოყენების ადსორბენტზე დაფუძნებულ რეგენერაციას, ხოლო სოციალურ-ეკონომიკური და გარემოსდაცვითი საკითხების გათვალისწინებით უარყოფილი იქნა უმოქმედობის (ნულოვანი) ალტერნატივა.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, საწარმოში გათვალისწინებულია ელექტროძრავების, ტრანსფორმატორების სარემონტო სამუშაოები და სინთეტიკური სატრანსფორმატორო (საიზოლაციო) ნარჩენი ზეთების რეგენერაცია-აღდგენა. ანგარიშის მიხედვით, საწარმო იმუშავებს წელიწადში 75 დღე, 8 საათიანი სამუშაო რეჟიმით და გათვალისწინებულია 15 ადამიანის დასაქმება. ნარჩენი ზეთის აღდგენა-რეგენერაციის ტექნოლოგიური ხაზის წარმადობა შეადგენს 250 ლიტრს საათში, რაც საწარმოს სამუშაო რეჟიმის და წარმადობის გათვალისწინებით წელიწადში 150 000 ლიტრი (130 ტ) სინთეტიკური საიზოლაციო და თბოგადამცემი ზეთის აღდგენას ითვალისწინებს.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, „ნარჩენების მართვის კოდექსის“ მიხედვით, დაგეგმილი საქმიანობა ნარჩენების აღდგენის ნაწილში შესაბამისობაშია R9 ოპერაციასთან, ხოლო ნარჩენების დროებითი დასაწყობების ნაწილში - R13 ოპერაციასთან. სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, „სახეობებისა და მახასიათებლების მიხედვით ნარჩენების ნუსხის განსაზღვრისა და კლასიფიკაციის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 17 აგვისტოს №426 დადგენილების მიხედვით, ობიექტზე განთავსებულ აგრეგატში გადასამუშავებელი ნარჩენის კოდი იქნება 13 03 08* (სინთეტიკური საიზოლაციო და თბოგადამცემი ზეთები).

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, საწარმოს ტექნოლოგიური პროცესი მოიცავს შემდეგ ეტაპებს: საწარმოში შემოსული ტრანსფორმატორების დაშლა, ტრანსფორმატორიდან სატრანსფორმატორო ზეთის ამოღება, ზეთის რეგენერაცია (აღდგენა), რეგენერირებული ზეთის მიწოდება ტრანსფორმატორისთვის, ტრანსფორმატორის შეკეთება, რეგენერირებული ზეთის ჩასხმა, ტრანსფორმატორის აწყობა და ტექნიკურ გამოცდა.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, სატრანსფორმატორო ზეთის რეგენერაციის პროცესი მოიცავს ორ ეტაპს. კერძოდ, ზეთის სადეგაზაციო დამუშავებას (I ეტაპი) და ადსორბციულ რეგენერაციას (II ეტაპი). ანგარიშის მიხედვით, ზეთის რეგენერაციის პირველ ეტაპზე სატრანსფორმატორო ზეთების ღრმა ვაკუუმური დამუშავებისთვის გამოიყენება CMM-1 ტიპის სადეგაზაციო დანადგარი. დასამუშავებელი ზეთი ტუმბოსა და ელექტროგამახურებლის საშუალებით ცხელდება 55–60°C ტემპერატურამდე, რის შემდეგაც მიეწოდება სადეგაზაციო კამერას, სადაც ვაკუუმის პირობებში ხდება ზეთში გახსნილი აირებისა და ტენის გამოყოფა. შემდგომ ზეთი გაივლის ფილტრს, მექანიკური მინარევებისგან გაწმენდის მიზნით. ანგარიშის მიხედვით, საწარმოში დაგეგმილია კიდევ ერთი ZJA-50 ტიპის

მობილური სადეგაზაციო დანადგარის დამატება, რომელიც განთავსდება არსებული სადეგაზაციო დანადგარის გვერდით და უზრუნველყოფს საწარმოო პროცესების ოპტიმიზაციას. სატრანსფორმატორო ზეთის რეგენერაციის პროცესის მეორე ეტაპზე (ადსორბციული რეგენერაცია) წინასწარ დამუშავებული ზეთი მიეწოდება CMM 6P/I ტიპის დანადგარს, რომელიც შექმნილია სატრანსფორმატორო ზეთების რეგენერაციისთვის-გაწმენდისთვის და შედგება შემტანი და გამომტანი ზეთის ტუმბოებისგან, ვაკუუმტუმბოსგან, აქტიური ნახშირის და 5-მიკრონიანი ფილტრებისგან, ბუფერული ავზისგან, ექვსი ადსორბციული კოლონისა და მათში დამონტაჟებული ელექტროგამახურებლებისგან. დასამუშავებელი ზეთი 1–1,5 ბარი წნევით და 20–40°C ტემპერატურით, შესაბამისი ტუმბოს მეშვეობით, მიეწოდება ადსორბციულ კოლონებს, რომლებშიც ჩატვირთულია ფულერის მიწა (ბუნებრივი თიხა) ან ანალოგიური თვისებების მქონე სილიკატელი. ადსორბციულ კოლონებში გავლის დროს ზეთი ტოვებს დამაბინძურებელ პროდუქტებს ადსორბენტის მიკროფორებში და კოლონიებიდან გამოდის რეგენირებული ზეთი.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, ტექნოლოგიურ პროცესში გამოიყენება შემდეგი დანადგარ-მოწყობილობები: CMM-1 ტიპის სადეგაზაციო დანადგარი; ZJA-50 ტიპის მობილური სადეგაზაციო დანადგარი; საბოლოო გაწმენდის საფეხურის აგრეგატი (CMM-6P/I მობილური სადგური); მიღებისა და რეგენერაციისთვის გათვალისწინებული 6 ერთეული 1000 ლიტრიანი პლასტმასის ავზი (3 ერთეული შენობის შიგნით და 3 ერთეული შენობის გარეთ, შენობის მიჯნაზე); 2800 და 3200 ლიტრი მოცულობის ლითონის მიმღები ავზი (შენობის შიგნით); 4600 ლიტრი რეგენერირებული ზეთის ავზი (შენობის შიგნით); მიღებისა და რეგენერაციისთვის განკუთვნილი 14000 ლიტრი მოცულობის ლითონის ავზი (შენობის გარეთ, შენობის მიჯნაზე); ძრავების გამოსაცდელი სტენდი და საშრობი კარადა. ანგარიშის თანახმად, არსებული ავზები განთავსებულია სითხეგაუმტარ ზედაპირებზე და ისეთი ადგილები, სადაც შესაძლებელია სახიფათო თხევადი ნარჩენის ან/და პროდუქტის დაღვრა, უზრუნველყოფილი იქნება სათანადო პარამეტრების მქონე მეორადი შეკავების ბარიერებით და სითხეგაუმტარი ბარიერის მოცულობა გათვლილი იქნება ისე, რომ ავარიული დაღვრის შემთხვევაში სრულად დააკავოს დაღვრილი ნაკადები.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, საწარმოს წყალმომარაგება უზრუნველყოფილია ქ. რუსთავის წყალმომარაგების სისტემიდან და საწარმოში წყლის გამოყენება გათვალისწინებულია მხოლოდ საყოფაცხოვრებო-სანიტარიული მიზნებისთვის. ანგარიშის მიხედვით, წარმოქმნილი სამეურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყლების შეგროვება განხორციელდება ტერიტორიაზე არსებულ ჰერმეტიკულ ბეტონის ორმოში, რომლის დაცლა გათვალისწინებულია პერიოდულად, შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე. ვინაიდან საწარმოო პროცესში წყლის გამოყენება დაგეგმილი არ არის, ადგილი არ ექნება საწარმოო ჩამდინარე წყლების წარმოქმნას. ამასთან, იმის გათვალისწინებით, რომ სატრანსფორმატორო ზეთების აღდგენის პროცესი, ზეთების შენახვა და ელექტრული მოწყობილობების

რემონტთან დაკავშირებული ოპერაციები განხორციელდება დახურულ შენობაში, სანიაღვრე წყლების დაბინძურება მოსალოდნელი არ არის.

სკოპინგის ანგარიშში განსაზღვრულია დაგეგმილი საქმიანობის შედეგად გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების ძირითადი სახეები, ასევე მოცემულია ზოგადი ინფორმაცია იმ ღონისძიებების შესახებ, რომლებიც გათვალისწინებული იქნება უარყოფითი ზემოქმედებების თავიდან აცილებისათვის, შემცირებისათვის ან/და შერბილებისათვის.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე მოსალოდნელია მუნიციპალური/არასახიფათო და სახიფათო ნარჩენების წარმოქმნა. საყოფაცხოვრებო/არასახიფათო ნარჩენები შეგროვდება შესაბამის კონტეინერში და პერიოდულად (დაგროვების შესაბამისად) გატანილი იქნება მუნიციპალურ ნაგავსაყრელზე, ქ. რუსთავის მუნიციპალური სამსახურის მიერ, ხელშეკრულების საფუძველზე, ხოლო სახიფათო ნარჩენების სათანადო მართვის მიზნით საწარმოს შენობაში გამოყოფილი იქნება 200 ლიტრიანი ლითონის დახურული კასრები/კონტეინერები, რომლებშიც დროებით განთავსდება ობიექტზე წარმოქმნილი როგორც მყარი, ისე თხევადი სახის სახიფათო ნარჩენები, ფიზიკური და ქიმიური თვისებების შესაბამისად და შემდგომი მართვის მიზნით გადაეცემა შესაბამისი ნებართვის მქონე კომპანიას. სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში მოსალოდნელი ნარჩენების, მათ შორის, სახიფათო ნარჩენების ტიპის, რაოდენობებისა და მათი მართვის შესახებ დაზუსტებული ინფორმაცია წარმოდგენილი იქნება დაგეგმილი საქმიანობის გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზმ) ანგარიშში.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, ატმოსფერული ჰაერის დაბინძურებით მოსალოდნელი ზემოქმედება დაკავშირებული იქნება როგორც ნარჩენი ზეთების დროებითი საცავების, ისე ზეთის აღდგენის ტექნოლოგიური ხაზისა და მზა პროდუქციის შესანახი დროებითი საცავის ექსპლუატაციასთან. ემისიების წარმოქმნა მოსალოდნელია როგორც მეორადი ზეთის მიმღებ ავზებში ნედლეულის ჩასხმის, ისე მისი რეგენარაციის, შენახვის და გადატვირთვის პროცედურების დროს. ემისიების წარმოქმნის დამატებით წყაროებს ასევე წარმოადგენს ტრანსფორმატორის შეღებვის უბანი და მირჩილვის აპარატი. სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, საწარმოს ექსპლუატაციისას ატმოსფერულ ჰაერში გაიფრქვევა შემდეგი ნივთიერებები: ნახშირწყალბადები; აზოტის დიოქსიდი; ქსილოლი; უაიტ-სპირიტი; ლაქსაღებავების აეროზოლი; სპილენძის ოქსიდი. სკოპინგის ანგარიშის თანახმად, საწარმოს ფუნქციონირების შედეგად ატმოსფერულ ჰაერზე მნიშვნელოვანი უარყოფითი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის, ვინაიდან სატრანსფორმატორო ზეთის რეგენერაციისა და ელექტრომოწყობილობების სარემონტო სამუშაოების ძირითადი ტექნოლოგიური ოპერაციები ხორციელდება დახურულ საწარმო შენობაში, კონტროლირებად გარემოში. ამასთან, ტექნოლოგიური პროცესების მნიშვნელოვანი ნაწილი მიმდინარეობს ჰერმეტიკულ ან ნახევრად დახურულ დანადგარებში, რაც მნიშვნელოვნად ზღუდავს ნახშირწყალბადების ან/და სხვა დამაბინძურებელი ნივთიერებების გარემოში გავრცელების შესაძლებლობას. გარდა ამისა, ადსორბენტის

თერმული რეაქტივაციისას წარმოქმნილი აირები გაივლის შესაბამის გამწმენდ ელემენტებს (აქტიური ნახშირის ფილტრებს), რაც დამატებით ამცირებს ატმოსფერულ ჰაერში დამაბინძურებელ ნივთიერებათა გაფრქვევის რისკს. წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, საპროექტო საწარმოს ფუნქციონირების შედეგად ატმოსფერული ჰაერის დაბინძურებით მოსალოდნელი ზემოქმედების მნიშვნელობის დადგენის მიზნით, გზშ-ის ეტაპზე შესრულებული იქნება ატმოსფერულ ჰაერში მოსალოდნელ ემისიათა გაზნევის დეტალური ანგარიში, გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა თვისობრივ-რაოდენობრივი შეფასება და შედგენილი იქნება ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის (ზდგ) ნორმების პროექტი. ამასთან, ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაზნევის შეფასება შესრულდება თანამედროვე ავტომატიზებული კომპიუტერული პროგრამის გამოყენებით და მოდელირების შედეგები ასახული იქნება როგორც გზშ-ის ანგარიშში, ისე ზდგ-ის ნორმების პროექტში.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, ხმაურის გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედება ძირითადად დაკავშირებული იქნება საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპთან, კერძოდ, ტექნოლოგიურ ხაზში ჩართული დანადგარების (მათ შორის, ტუმბოების, ვაკუუმტუმბოების, კომპრესორებისა და სხვა) ოპერირებასთან და აღნიშნულია, რომ ხმაურწარმომქმნელი წყაროების ერთდროულად მუშაობისას მოსალოდნელი ხმაურის დონე შეადგენს 86,1 დბა-ს. წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, ხმაურის გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასებისას, კუმულაციური ფონის სახით გათვალისწინებული იქნა საწარმოს 500 მეტრიან რადიუსში განთავსებული ყველაზე მნიშვნელოვანი ხმაურგამომწვევი ობიექტი - შპს „ერთობა 98“-ის ცემენტის საწარმო, რომლის დანადგარების ხმაურის ჯამური დონე 110 დბა-ს შეადგენს. სკოპინგის ანგარიშში აღნიშნულია, რომ საპროექტო საწარმოს ექსპლუატაცია არ ცვლის ხმაურის ფონურ კუმულაციურ დონეს და იდენტიფიცირებულ უახლოეს საცხოვრებელ სახლამდე (70 მ), ყველაზე უარესი სცენარის პირობებში და კუმულაციური ფონის გათვალისწინებით, ხმაურის დასაშვები ნორმების გადაჭარბება მოსალოდნელი არ არის.

წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, საპროექტო ტერიტორია არ მდებარეობს არქეოლოგიური და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების, ასევე, დაცული ტერიტორიების სიახლოვეს. საწარმო მოწყობილია ანთროპოგენური დატვირთვის მქონე სამრეწველო ზონაში, სადაც ნიადაგის ნაყოფიერი ფენა და მცენარეული საფარი წარმოდგენილი არ არის.

როგორც აღინიშნა, საპროექტო ტერიტორიის სიახლოვეს მდებარეობს სხვადასხვა პროფილის ობიექტები, თუმცა სკოპინგის ანგარიშში აღნიშნულია, რომ საწარმოს სიახლოვეს არ ფიქსირდება და არც მომავალშია დაგეგმილი ანალოგიური პროფილის საწარმოების მოწყობა და ექსპლუატაცია. შესაბამისად, მნიშვნელოვან კუმულაციური ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის. სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, კუმულაციური ზემოქმედების შეფასების შესახებ დეტალური ინფორმაცია წარმოდგენილი იქნება გზშ-ის ანგარიშში.

სკოპინგის ანგარიშის განხილვის ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე სააგენტომ უზრუნველყო სკოპინგის ანგარიშისა და საჯარო განხილვის შესახებ ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით გავრცელება. მათ შორის, ინფორმაცია განთავსდა გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე, ასევე, გაიგზავნა ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიაში, საინფორმაციო დაფაზე განთავსების მიზნით.

სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვა გაიმართა 2026 წლის 19 აგვისტოს, ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის შენობაში. საჯარო განხილვას ესწრებოდნენ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს, შპს „იბერია ელექტროსერვისის“, საკონსულტაციო კომპანია შპს „გარემოსდაცვითი მომსახურების კომპანიის“ და რუსთავის მერიის წარმომადგენლები. დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებით საჯარო განხილვაზე დასმული საკითხი ეხებოდა დაგეგმილი საქმიანობისთვის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ გათვალისწინებული პროცედურების გავლის აუცილებლობის საკითხს, საპროექტო ტერიტორიაზე არსებული ფაქტობრივი მდგომარეობის გათვალისწინებით. საჯარო განხილვაზე დასმულ საკითხზე შესაბამისი განმარტება გააკეთა შპს „იბერია ელექტროსერვისის“ წარმომადგენელმა. საჯარო განხილვაზე გამოთქმული შენიშვნები/მოსაზრებები და შესაბამისი პასუხები/განმარტებები აისახა საჯარო განხილვის ოქმში.

ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, დაგეგმილი საქმიანობის სკოპინგის ანგარიშთან დაკავშირებით სააგენტოში წერილობითი შენიშვნები/მოსაზრებები წარმოდგენილი არ ყოფილა.

სკოპინგის პროცედურის შედეგად სააგენტოს მიერ იდენტიფიცირდა დაგეგმილი საქმიანობიდან გამომდინარე, გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე მოსალოდნელი ძირითადი ზემოქმედების წყაროები, სახეები და ობიექტები. განისაზღვრა და დადგინდა დაგეგმილი საქმიანობის შედეგად გზშ-ის ანგარიშის მომზადებისთვის საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი. ასევე, გზშ-ის პროცესში დეტალურად შესასწავლი ზემოქმედებების საკითხები.

გზშ-ის ანგარიშის მომზადებისთვის საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი:

1. გზშ-ის ანგარიში უნდა მოიცავდეს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-10 მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილ ინფორმაციას;
2. გზშ-ის ანგარიშს უნდა დაერთოს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-10 მუხლის მე-4 ნაწილით განსაზღვრული დოკუმენტაცია;
3. გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს სკოპინგის ანგარიშში მითითებული (განსაზღვრული, ჩასატარებელი) კვლევების შედეგები, მოპოვებული და შესწავლილი

ინფორმაცია, გზშ-ის პროცესში დეტალურად შესწავლილი ზემოქმედებები და შესაბამისი შემცირების/შერბილების ღონისძიებები;

4. გზშ-ის ანგარიში ხელმოწერილი უნდა იყოს იმ პირის/პირების მიერ, რომელიც/რომლებიც მონაწილეობდა/მონაწილეობდნენ მის მომზადებაში, მათ შორის, კონსულტანტის მიერ (გზშ-ის ანგარიშის მომზადების პროცესში მონაწილეთა სიაში, მითითებული უნდა იქნეს კონკრეტულად ტექსტის რომელი ნაწილი/ქვეთავი იქნა მომზადებული თითოეული ექსპერტის მიერ).

5. გზშ-ის ანგარიშში ასევე წარმოდგენილი უნდა იყოს:

- დაგეგმილი საქმიანობის საჭიროების დასაბუთება (გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედებით გამოწვეული დანაკარგისა და მიღებული სარგებლის ურთიერთშეწონის საფუძველზე);
- დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილების (მათ შორის, უშუალოდ ნარჩენი ზეთების რეზერვუარების განთავსების ადგილების) აღწერა-დახასიათება, საპროექტო ტერიტორიის საკადასტრო კოდის, Shp ფაილებისა და GPS კოორდინატების მითითებით;
- დაზუსტებული მანძილი საწარმოს ტერიტორიიდან უახლოეს საცხოვრებელ სახლ(ებ)ამდე (მდებარეობის მითითებით), ასევე ზედაპირული წყლისა და სხვა შესაძლო ზემოქმედებას დაქვემდებარებულ ობიექტებამდე;
- ინფორმაცია ობიექტის სიახლოვეს (განსაკუთრებით 500 მეტრი რადიუსის საზღვრებში) არსებული ნებისმიერი ტიპის საწარმოო, მათ შორის, დაგეგმილი საქმიანობის ანალოგიური ობიექტ(ებ)ის შესახებ (მანძილების და საქმიანობის მითითებით);
- დაგეგმილი საქმიანობის დეტალური აღწერა, სახიფათო ნარჩენების (ნარჩენი ზეთები) აღდგენის და განთავსების საწარმოს ტექნოლოგიური სქემის დეტალური აღწერა, შესაბამისი თანმიმდევრობით (ნედლეულის მიღებიდან საბოლოო პროდუქტის დამზადების ჩათვლით). ასევე ტექნოლოგიურ პროცესში გამოსაყენებელი დანადგარებისა და დამხმარე ინფრასტრუქტურის აღწერა, თითოეული საწარმოო ობიექტის/უბნის ტექნიკური პარამეტრების (მათ შორის, საპასპორტო მონაცემები) და ტექნოლოგიური სქემების მითითებით;
- დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ტერიტორიის (მათ შორის, რეზერვუარების და სხვა ინფრასტრუქტურული ობიექტების განთავსების) სიტუაციური სქემა და გენერალური გეგმა, შესაბამისი აღნიშვნებითა და ექსპლიკაციით. ასევე ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების გაფრქვევისა და ხმაურის წარმომქმნელი წყაროების მითითებით;
- ინფორმაცია საწარმოს ფიზიკური მახასიათებლების შესახებ. მათ შორის, ინფორმაცია ტექნოლოგიური ხაზის წარმადობის (სთ, დღე, წელი) და სამუშაო რეჟიმის/გეგმა-გრაფიკის მითითებით. ასევე წარმოდგენილი უნდა იყოს დეტალური ინფორმაცია

საწარმოში მიღებული ნედლეულისა და წარმოებული პროდუქციის კონკრეტული რაოდენობების შესახებ (წლიური, დღედამური და საათობრივი რაოდენობების მითითებით);

- დეტალური ინფორმაცია საწარმოს ნედლეულით მომარაგების, ასევე ნედლეულის წარმოშობის, რაოდენობის, ტიპის, ნედლეულის დასაწყობების ადგილების და პირობების შესახებ;
- დეტალური ინფორმაცია ნედლეულით მომარაგებისა და გაცემის შესახებ, შესაბამისი სამომრავო მარშრუტის მითითებით (რუკაზე ჩვენებით, სქემატური ნახაზებით). ამასთან, წარმოდგენილი უნდა იქნეს ნედლეულის ტრანსპორტირების გეგმა-გრაფიკი (ნედლეულის შემოტანის და გატანის სიხშირის მითითებით) და ნედლეულის ტრანსპორტირებისათვის გამოყოფილი ტრანსპორტის ტიპისა და რაოდენობის შესახებ ინფორმაცია. ასევე წარმოდგენილი უნდა იყოს სატრანსპორტო გადაზიდვებით გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება, შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით;
- ინფორმაცია საწარმომდე მისასვლელი გზებისა და მათი მდგომარეობის შესახებ;
- ნედლეულის ტრანსპორტირებისას დასახლებულ პუნქტ(ებ)ში გადაადგილების შემთხვევაში ინფორმაცია შესაბამისი პირობების დაცვის შესახებ (მაგ: დაბალი სიჩქარე, მარის გადახურვა, ღამის საათებში მოძრაობის აკრძალვა);
- დეტალურად უნდა იქნეს ასახული საქმიანობის შედეგად გამოწვეული ზემოქმედების შეფასება სოციალურ გარემოზე. ასევე განისაზღვროს ადამიანის ჯანმრთელობასთან, უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკები და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები;
- საწარმოს წყალმომარაგების შესახებ ინფორმაცია (გამოსაყენებელი წყლის დღედამური, თვიური და წლიური რაოდენობების მითითებით);
- დეტალური ინფორმაცია ჩამდინარე სამეურნეო-საყოფაცხოვრებო და საწარმოო წყლების (დღედამური, თვიური და წლიური რაოდენობების მითითებით), ასევე სანიაღვრე წყლების მართვის შესახებ;
- საპროექტო ტერიტორიის საკუთრების ან/და სარგებლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- შემთხვევით დაღვრილი ზეთის მართვის ღონისძიებების დეტალური აღწერა. ინფორმაცია შესაძლო დაღვრილი ზეთის მოცულობის შეკავების შესახებ;
- დეტალური ინფორმაცია საწარმოში არსებული ნავთობსეპარატორის შესახებ (არსებობის შემთხვევაში: (მოცულობა, ეფექტურობა, ფიზიკური მახასიათებლები, გაწმენდის პირობები და პერიოდულობა, ნავთობსეპარატორის გაწმენდის შედეგად მიღებული ნალექის მართვის საკითხები);
- დეტალური ინფორმაცია სახიფათო ნარჩენების დროებითი შენახვის ობიექტ(ებ)ის შესახებ;
- გარემოზე მნიშვნელოვანი ზემოქმედების აღწერა, რომელიც განპირობებულია ავარიისა და კატასტროფის რისკის მიმართ საქმიანობის მოწყვლადობით. ავარიულ

სიტუაციებზე რეაგირების გეგმა. ამასთან, განხილული უნდა იქნეს ობიექტის სახანძრო უსაფრთხოების საკითხები და ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებები;

- დასაქმებული ადამიანების რაოდენობა, მათ შორის, დასაქმებულთა შორის ადგილობრივი მოსახლეობის წილი. ასევე ინფორმაცია პერსონალის პროფესიული და ტექნიკური სწავლების შესახებ;
- ინფორმაცია საქმიანობის შეწყვეტის შემთხვევაში გარემოს პირვანდელ მდგომარეობამდე აღდგენის ღონისძიებების შესახებ;
- დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებით ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირების, მათი პოზიციების, დამოკიდებულების/აზრის გათვალისწინებისა და შეთანხმების (არსებობის შემთხვევაში) ამსახველი ინფორმაცია. ასევე, ინფორმაცია საჯარო განხილვაზე გამოთქმული შენიშვნების/მოსაზრებების გათვალისწინების შესახებ;
- ინფორმაცია გზშ-ის ფარგლებში ჩატარებული საბაზისო/სამიეზო კვლევებისა და გზშ-ის ანგარიშის მომზადებისთვის გამოყენებული მეთოდების შესახებ;

6. გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება გარემოს თითოეული კომპონენტისათვის და პროექტის განხორციელების შედეგად მოსალოდნელი ზემოქმედების შეჯამება, მათ შორის:

- მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება ატმოსფერულ ჰაერზე, სადაც გათვალისწინებული უნდა იყოს:
 - ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გამოყოფისა და გაფრქვევის წყაროები (გენ-გეგმაზე მითითებით), გაფრქვეული მავნე ნივთიერებები, გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა რაოდენობრივი, თვისობრივი მონაცემები და გაბნევის ანგარიში;
 - გზშ-ის ანგარიშს უნდა დაერთოს ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის (ზდგ) ნორმების პროექტი;
 - ატმოსფერულ ჰაერზე მოსალოდნელი ზემოქმედების პრევენციული და შემარბილებელი ღონისძიებები, დაგეგმილი ღონისძიებების ეფექტურობის დასაბუთებით;
 - ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის მონიტორინგის გეგმა (საკონტროლო წერტილების, მონიტორინგის სიხშირის, მეთოდის და ა.შ. მითითებით). მათ შორის, საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №413 დადგენილებით („დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების თვითმონიტორინგის და ანგარიშგების წარმოების ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“) განსაზღვრული უწყვეტი ინსტრუმენტული თვითმონიტორინგის სისტემის საწარმოში დანერგვის/გამოყენების შესახებ დეტალური ინფორმაცია, გაფრქვევის წყაროების, მონიტორინგს დაქვემდებარებული კომპონენტების, თვითმონიტორინგისთვის შერჩეული მეთოდის/ხელსაწყო და სტანდარტის მითითებით. ინსტრუმენტული

მონიტორინგის საკითხი გათვალისწინებული იქნება საპროექტო ტერიტორიის საზღვრიდან უახლოესი საცხოვრებელ სახლთან/დასახლებულ პუნქტთან (მათ შორის, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის (70 მ)) მიმართებით.

- ხმაურისა და ვიბრაციის გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება. ხმაურის გავრცელების ღონისძიებების გაანგარიშება და მოდელირება, შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებებით და მონიტორინგის საკითხებით. ხმაურის გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედება წარმოდგენილი უნდა იქნას კუმულაციური ზემოქმედების გათვალისწინებით;
- საწარმოს ტერიტორიის გეოლოგიური პირობების აღწერა და გეოლოგიურ გარემოზე ზემოქმედების შეფასება;
- ინფორმაცია ბიოლოგიურ გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შესახებ, შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით;
- კუმულაციური ზემოქმედების შეფასება საწარმოს სიახლოვეს (განსაკუთრებით 500 მ რადიუსში) არსებული და საპროექტო ობიექტების ფუნქციური სტატუსებისა და წარმადობების მითითებით. კუმულაციური ზემოქმედების შეფასება წარმოდგენილი უნდა იქნეს გარემოს თითოეული კომპონენტისთვის (**მათ შორის, ატმოსფერულ ჰაერზე, ხმაურზე, სატრანსპორტო ნაკადებზე და სხვ.**). ასევე, კუმულაციურ ზემოქმედების შემცირებისთვის უნდა განისაზღვროს და გზშ-ის ანგარიშში აისახოს ეფექტური შემარბილებელი ღონისძიებები;
- ზემოქმედების შეფასება ისტორიულ-კულტურულ და არქეოლოგიურ ძეგლებზე (არსებობის შემთხვევაში);
- ინფორმაცია ბიოლოგიურ გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შესახებ, შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით;
- ზემოქმედება მიწისქვეშა/გრუნტის წყლებზე და შემარბილებელი ღონისძიებები. ამასთან, დამაბინძურებელი ნივთიერებების ავარიული დაღვრის შემთხვევაში - ღრმა ფენებში გავრცელებისა და შესაბამისი პრევენციული/შემარბილებელი ღონისძიებების შესახებ;
- გარემოზე შეუქცევადი ზემოქმედების შეფასება და მისი აუცილებლობის დასაბუთება (რაც გულისხმობს გარემოზე შეუქცევადი ზემოქმედებით გამოწვეული დანაკარგისა და მიღებული სარგებლის ურთიერთშეწონის გარემოსდაცვით, კულტურულ, ეკონომიკურ და სოციალურ ჭრილში);
- ინფორმაცია ნარჩენების წარმოქმნით ან/და გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება და შესაბამისი პრევენციული ღონისძიებების შესახებ. ასევე ინფორმაცია საქმიანობის შედეგად (მათ შორის, ტექნოლოგიური დანადგარების რეცხვის, რეზერვუარების წმენდისა და ტექნიკური მომსახურების შედეგად) მოსალოდნელი ნარჩენების (კოდები, დასახელებები, რაოდენობა) და მათი შემდგომი მართვის შესახებ, „ნარჩენების მართვის კოდექსისა“ და მისგან გამომდინარე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად. კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმა;

- ინფორმაცია პკბ (პოლიქლორირებული ბიფენილები) ნარჩენი ზეთების საწარმოში არმოხვედრის საკითხისა და გაუთვალისწინებელი პირობების დროს პკბ ნარჩენი ზეთის მოხვედრის შემთხვევაში მისი შემდგომი მართვის შესახებ;
- საქმიანობის ფარგლებში განსახორციელებელი **შემარბილებელი ღონისძიებების შემაჯამებელი გეგმა-გრაფიკი**;
- საქმიანობის ფარგლებში განსახორციელებელი **გარემოსდაცვითი მონიტორინგის შემაჯამებელი გეგმა-გრაფიკი** (საკონტროლო წერტილების, მონიტორინგის სიხშირის, მეთოდის და ა.შ. მითითებით), სადაც განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა ატმოსფერულ ჰაერში ემისიებისა და ხმაურის გავრცელებას;
- გზშ-ის ფარგლებში შემუშავებული ძირითადი დასკვნები და საქმიანობის პროცესში განსახორციელებელი ძირითადი ღონისძიებები;
- გზშ-ის ეტაპზე, დოკუმენტის მომზადებისას გამოყენებული ნებისმიერი ლიტერატურის შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იქნეს შესაბამის ქვეთავში (მაგ. ბიბლიოგრაფია, გამოყენებული ლიტერატურა), სადაც მითითებული იქნება ინფორმაციის გავრცელების წყარო, ელ. ბმული ან/და წიგნის/ნაშრომის/სტატიის ავტორის, გამოცემის წელის, წიგნის/სტატიის დასახელებისა და გამოყენებული გვერდების შესახებ ინფორმაცია;

7. შენიშვნები, რომლებიც გათვალისწინებული უნდა იქნეს გზშ-ის ანგარიშში:

- წარმოდგენილი უნდა იყოს საქმიანობის „ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაციის-გენერალური გეგმისა და განაშენიანების გეგმის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 29 ნოემბრის N154 დადგენილებასთან თავსებადობის შესახებ ინფორმაცია (შესაბამისი დასაბუთებით). ასევე ქ. რუსთავის მერიის ინფორმირების, პოზიციის გათვალისწინებისა და შესაბამისი შეთანხმების დამადასტურებელი ინფორმაცია;
- სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, შპს „იბერია ელექტროსერვისი“ ახორციელებს ელექტროძრავებისა და ტრანსფორმატორების სარემონტო სამუშაოებს. ვინაიდან მწყობრიდან გამოსული ელექტროძრავები და ტრანსფორმატორები წარმოადგენენ ნარჩენებს, გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს არამხოლოდ ზეთების აღდგენა/დროებით დასაწყობების, არამედ ასევე ელექტრო და ელექტრონული ნარჩენების აღდგენის თვალსაზრისითაც. აღნიშნულის გათვალისწინებით, გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია მწყობრიდან გამოსული ელექტროძრავებისა და ტრანსფორმატორების კოდების, დასახელების და რაოდენობის შესახებ. ასევე მათი დამუშავება უნდა შეესაბამებოდეს „ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობების ნარჩენების მართვის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის

დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 25 მაისის №326 დადგენილების II დანართის მოთხოვნებს;

- გზშ-ის ანგარიშში გამიჯნული უნდა იქნეს R13 და R9 ნარჩენების აღდგენის ოპერაციები და თითოეულ ოპერაციას უნდა მიეთითოს შესაბამისი ნარჩენის კოდი, დასახელება და რაოდენობა;
- გზშ-ის ანგარიშში მოცემული უნდა იყოს ინფორმაცია ნარჩენების შეგროვება/ტრანსპორტირების შესახებ. იმ შემთხვევაში, თუ კომპანია თავად ახორციელებს ნარჩენების შეგროვება-ტრანსპორტირებას, გათვალისწინებული უნდა იყოს საქართველოს მთავრობის 2016 წლის 29 მარტის №144 დადგენილება („ნარჩენების შეგროვების, ტრანსპორტირების, წინასწარი დამუშავებისა და დროებითი შენახვის რეგისტრაციის წესისა და პირობების შესახებ“), რომლის თანახმადაც, ნარჩენების შეგროვება-ტრანსპორტირება რეგისტრაციას დაქვემდებარებულ საქმიანობას წარმოადგენს. შესაბამისად, რეგისტრაცია ხორციელდება ნარჩენების მართვის ელექტრონულ სისტემაში (wms.mepa.gov.ge);
- გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იქნეს პკპ-ის შემცველი ნარჩენი ზეთებისგან სხვა ნარჩენი ზეთების გამიჯვნისა და პკპ-ის შემცველობაზე კონტროლის მექანიზმები, მათ შორის, შესაბამისი დოკუმენტური და საჭიროების შემთხვევაში, ლაბორატორიული კონტროლის პროცედურები;
- სკოპინგის ანგარიშში ტექნოლოგიური ციკლის შედეგად წარმოქმნილი კონდენსირებული სითხისთვის მითითებული ნარჩენის კოდი - 13 08 99* საჭიროებს დაზუსტებასა და დასაბუთებას. კერძოდ, გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს აღნიშნული ნაკადის წარმოშობის, შემადგენლობისა და თვისებების დეტალური აღწერა და შესაბამისი ნარჩენის კოდის შერჩევის დასაბუთება. ამასთან, დაზუსტებული უნდა იყოს, რა შემთხვევაში განიხილება აღნიშნული სითხე ნარჩენად და რა შემთხვევაში ბრუნდება ტექნოლოგიურ ციკლში;
- სკოპინგის ანგარიშში ზეთის რეგენერაციის საპროექტო წარმადობის შესახებ წარმოდგენილი მონაცემები არ არის შესაბამისობაში. კერძოდ, ანგარიშში მითითებულია, რომ საპროექტო წარმადობა 10 ტონას აღემატება, ხოლო საწარმოს სამუშაო რეჟიმისა და ტექნოლოგიური ხაზის ფაქტობრივი წარმადობის მიხედვით, წლიური წარმადობა დაახლოებით 130 ტონას შეადგენს. ამასთან, არ არის განსაზღვრული ნარჩენი ზეთის R13 ოპერაციის ფარგლებში დროებით დასაწყობების მაქსიმალური რაოდენობა. აღნიშნულიდან გამომდინარე, გზშ-ის ანგარიშში დაზუსტებული უნდა იყოს ნარჩენი ზეთის მაქსიმალური წლიური რაოდენობა, მისი შესაბამისობა ტექნოლოგიური ხაზის წარმადობასა და საწარმოს სამუშაო რეჟიმთან, ასევე R13 ოპერაციის ფარგლებში ნარჩენი ზეთის დროებით დასაწყობების მაქსიმალური რაოდენობა;
- გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს ნარჩენი ზეთის დროებითი შენახვისა და მართვის პირობები, მათ შორის, დაღვრისა და გაჟონვის პრევენციის, ასევე ავარიული

დაღვრის შემთხვევაში ნარჩენის გარემოში გავრცელების ლოკალიზაციისა და შემდგომი მართვის ღონისძიებები;

- წარმოდგენილი უნდა იყოს დეტალური ინფორმაცია დაგეგმილი საქმიანობის „ნარჩენი ზეთების მართვის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 25 მაისის N327 დადგენილებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ;
- მოცემული უნდა იყოს ინფორმაცია მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების (მგვ) ორგანიზაციებთან თანამშრომლობის შესახებ;
- გზშ ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს ობიექტზე მისაღები და გადასამუშავებელი ნარჩენის (ნარჩენი ზეთი) რაოდენობა, ასევე, კოდი და დასახელება „სახეობებისა და მახასიათებლების მიხედვით ნარჩენების ნუსხის განსაზღვრისა და კლასიფიკაციის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 17 აგვისტოს N426 დადგენილების II დანართის მიხედვით;
- სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, „საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით, საწარმოში საწარმოო ჩამდინარე წყლების წარმოქმნა მოსალოდნელი არ არის“. აღნიშნული საკითხი გზშ-ის ანგარიშში საჭიროებს დაზუსტებას, ვინაიდან საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, საჭირო გახდება ტრანსფორმატორების, ზეთის ავზების გამორეცხვა, ასევე დაღვრილი ნავთობპროდუქტების ტერიტორიის მორეცხვა. შესაბამისად, გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს წყლების, მათ შორის ნავთობპროდუქტებით და/ან სხვა ქიმიური ნივთიერებებით დაბინძურებული ნარეცხი წყლების და მათი მართვის ღონისძიებების შესახებ დეტალური ინფორმაცია;
- სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, ხმაურწარმოქმნელი წყაროების ერთდროულად მუშაობისას მოსალოდნელი ხმაურის დონე შეადგენს 86,1 დბა-ს და აღნიშნულია, რომ საპროექტო საწარმოს ექსპლუატაცია არ ცვლის ხმაურის ფონურ კუმულაციურ დონეს და იდენტიფიცირებულ უახლოეს საცხოვრებელ სახლამდე (70 მ) ყველაზე უარესი სცენარის პირობებში და კუმულაციური ფონის გათვალისწინებით, ხმაურის დასაშვები ნორმების გადაჭარბება მოსალოდნელი არ არის. აღნიშნული ჩანაწერი საჭიროებს დაზუსტებას. გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს დეტალურ დასაბუთებაზე დაყრდნობით მოცემული ინფორმაცია მოსალოდნელი ხმაურის დონეების მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ;
- სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, საწარმოს სიახლოვეს არ ფიქსირდება და არც მომავალშია დაგეგმილი ანალოგიური პროფილის საწარმოების მოწყობა და ექსპლუატაცია, რაც საჭიროებს დაზუსტებას, ვინაიდან მონაცემთა ელექტრონული გადამოწმებით დგინდება, რომ საპროექტო ტერიტორიიდან 70 მეტრში მდებარეობს შპს „ეკო ოილის“ მეორადი ზეთის გადამამუშავებელ (ნარჩენების აღდგენა) საწარმო და შპს „ალტერვეისტი, რომელსაც დაგეგმილი აქვს 10 ტონაზე მეტი სახიფათო ნარჩენების (ნარჩენი ზეთები) დროებითი შენახვის ობიექტის მოწყობა და ექსპლუატაცია. გარდა ამისა, საპროექტო ტერიტორიის სიახლოვეს ფუნქციონირებს სხვადასხვა ობიექტი, მათ შორის: შპს „ამქარი“, შპს „რუსენეროსერვისი“, შპს „რუსთავი ტრეიდი“, შპს

„დუდუ-02“, შპს „მშენებელი თუჯი“, შპს „გზატკეცილი“, შპს „იდეალ ჯორჯია“, შპს „ანტონი“ და ა.შ, რომელთა ფუნქციური დანიშნულების შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იყოს გზშ-ის ანგარიშში და გათვალისწინებული კუმულაციური ზემოქმედების შეფასებისას;

- გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით ადმინისტრაციული წარმოების დაწყებისთვის გზშ-ის ანგარიშში გათვალისწინებული უნდა იქნეს წინამდებარე სკოპინგის დასკვნით განსაზღვრული თითოეული მოთხოვნა.

გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია სკოპინგის დასკვნით განსაზღვრული თითოეული საკითხის გათვალისწინების შესახებ, ერთიანი ცხრილის სახით (გვერდებისა და (ქვე)თავების მითითებით).

დასკვნითი ნაწილი:

სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით, შპს „იბერია ელექტროსერვისის“ მიერ წარმოდგენილ საქმიანობაზე (ქ. რუსთავეში, 10 ტონაზე მეტი სახიფათო ნარჩენის (ნარჩენი ზეთები) აღდგენის ან/და დროებითი დასაწყობების ობიექტის ექსპლუატაცია) **სავალდებულოა გზშ-ის ანგარიშში მომზადდეს** წინამდებარე სკოპინგის დასკვნით გათვალისწინებული კვლევების, მოსაპოვებელი, შესასწავლი ინფორმაციის და წარმოსადგენი დოკუმენტაციის მიხედვით. გზშ-ის ანგარიშში შედგენილი უნდა იყოს მოქმედი კანონმდებლობის, განსაკუთრებით, სკოპინგის დასკვნით განსაზღვრული მითითებების სრული დაცვით.